ხაშურის მოამბე

№40(413) 23 ოქტომბერი, ორშაბათი, 2023 წელი

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ტერიტორიული რეზერვის პროგრამის საინფორმაციო შეხვედრა შედგა

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ვიცე პოლკოვნიკი ლევან თედიაშვილი და მაიორი ლევან ლომიტაშვილი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ქურდაძეს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებს ცოტნე ნოზაძეს და ნოდარ ლომიძეს, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხელმძღვანელ მიხეილ ბარბაქაძეს, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლებს შეხვდნენ და ტერიტორიული რეზერვის პროგრამის ძირითადი ამოცანები და მასში მონაწილეობის პირობები გააცნეს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ტერიტორიული რეზერვის პროგრამას განაგრძობს. ტერიტორიული, ანაზღაურებადი რეზერვი სამხედრო ვალდებულების მოხდის ნებაყოფლობით ფორმას წარმოადგენს და ქვეყნის თავდაცვაში მოქალაქეების ჩართულობას უზრუნველყოფს. რეზერვში მიიღებიან საქართველოს მოქალაქეობის მქონე 18-დან 51 წლამდე პირები, მათ შორის, სტუდენტები 18-დან 22 წლის ჩათვლით. მიღებისას რეზერვისტს 4 წლიანი კონტრაქტი უფორმდება. მათი ანაზღაურება ყოველთვიურად წოდებრივი სარგოს 20% შეადგენს, ხოლო ქვედანაყოფში ყოფნისას ხელფასს სრულად იღებენ.

ტერიტორიულ რეზერვში ჩარიცხული რეზერვისტის მინიმალური წლიური ანაზღაურება 4218 ლარია.

ტერიტორიული რეზერვში გაწვევა/ჩარიცხვა ხდება ტერიტორიული (რეგისტრაციის ადგილის) პრინციპით.

რეზერვისტების საბრძოლო მომზადება წლის განმავლობაში 36 დან- 45 დღემდე პერიოდს მოიცავს, რომელიც 12 თვეზე თანაბრად ნაწილდება. შეკრებაზე გამოცხადების თარიღები წინასწარ არის ცნობილი.

მომზადების კურსის მთავარი მიზანია საველე შეკრებებზე რეალური საბრძოლო უნარების შესწავლა.

ტერიტორიული რეზერვის გავლის პერიოდში მოქალაქეები უზრუნველყოფილნი არიან სოციალური და სამართლებრივი დაცვით, ასევე ინდივიდუალური სამედიცინო დაზღვევით.

რეზერვში მიღება რეგისტრაციისა და სამხედრო სამედიცინო შემოწმების გავლის საფუძველზე ხორციელდება. ტერიტორიულ რეზერვში სამსახურის პერიოდში დაშვებულია წვერისა და თმის ტარება მოვლილ მდგომარეობაში.

საბუთების მიღება მიმდინარეობს სამუშაო დღეების განმავლობაში, 10:00 საათიდან 18:00 სათამდე, პარასკევს 10:00 საათიდან 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართებზე:

რეზერვში რეგისტრაცია შესაძლებელია:

მოქალაქე რეზერვში რეგისტრირდება ონლაინ - https://onlinebct.mod.gov.ge/ 595 06 03 44;

ეროვნული გვარდიის მე-20 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადა (მის: ქ. თელავი, თამარის ქ. №36, 591 17 55 03;

ეროვნული გვარდიის მე-20 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის 203-ე ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონი (მის: ქ. გორი ცხინვალის გზატკეცილი მე-3 კილომეტრი), 577191783

ხაშურში, ზემო სერის ტყე-პარკის მშენებლობის სამუშაოების მეორე ეტაპი მიმდინარეობს

„სამუშაოების პირველი ეტაპის ფარგლებში, მოეწყო გარე განათებები, ფანჩატურები, სარბენი და ველო ბილიკები, დამონტაჟდა სხვადასხვა ტიპის დასასვენებელი სკამები, მაგიდები და ნარჩენებისთვის განკუთვნილი ურნები. მეორე ეტაპის მშენებლობის ფარგლებში კი მიმდინარეობს ამფითეატრისა და სკეიტბორდის მოედნის მშენებლობა, მოვაწყობთ სველ წერტილებს, შესასვლელ ტერიტორიას, დონომიტის დეკორატიული თეთრი ქვებით გავალამაზებთ ბილიკებს შორის არსებულ სივრცეებს. აღნიშნულ პროექტს, მომავალ წელს, მესამე ეტაპიც ექნება, რა დროსაც მოვაწყობთ კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნებს, დავრგავთ მწვანე ნარგავებს და გვაქვს კიდევ უამრავი სიახლე, რაც ხაშურელი მოსახლეობისთვის სასიამოვნო იქნება, ვფიქრობთ, რეაბილიტირებულ ტყე-პარკს უამრავი სტუმარი ეყოლება და ისინი კომფორტულად დასვენებას შეძლებენ“-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა სამუშაოების დათვალიერებისას.

მერთან ერთად, ადგილზე იმყოფებოდნენ მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი შოთა კუჭაიძე, მათი განმარტებით,

პროექტს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ერთობლივად აფინანსებს.

პირველი ეტაპის სამუშაოების ღირებულებამ 803 897 ლარი შეადგინა, ხოლო მეორე ეტაპის სამუშაოების ღირებულება 1 158 885 ლარია.

მუნიციპალიტეტის 18 საჯარო სკოლაში დირექტორები დაინიშნენ

2023 წლის 16 ოქტომბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის 18 საჯარო სკოლაში დირექტორის არჩევნები გაიმართა, სადაც უკვე დაინიშნენ დირექტორები:

სსიპ-ქალაქ ხშურის #8საჯარო სკოლა-დალი ბროლიძე; სსიპ-ივანე ხრიკულის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხცისის საჯარო სკოლა- ლელა ქვრივიშვილი; სსიპ-ქალაქ ხაშურის # 5 საჯარო სკოლა-მედეია კაპანაძე-ავალიშვილი; სსიპ-მიხეილ მურვანიშვილის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის #1 საჯარო სკოლა-ჟანა ტაბატაძე; სსიპ-გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის #6 საჯარო სკოლა-თამარ ხადური; სსიპ-ლესია უკრაინკას სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის #3 საჯარო სკოლა-ნონა აბაზაძე; სსიპ-ქალაქ ხაშურის #4 საჯარო სკოლა-ნანა გაგნიძე; სსიპ-ქრისტეფორე მესამის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის #4 საჯარო სკოლა-ინგა გოგალაძე; სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის #9 საჯარო სკოლა-მამუკა ხაჩიძე; სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ გომის საჯარო სკოლა-მაია ჯაფარიძე; სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბახტევის საჯარო სკოლა-ელზა მაისურაძე; სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლა-ნელი ხორბალაძე; სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ სატივის საჯარო სკოლა-შორენა მჭედლიძე; სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლა-ლიანალომიძე;სსიპხაშურისმუნიციპალიტეტისსოფელ ცხრამუხის საჯარო სკოლა-ასმათ ბერიძე-კოპაძე. სსიპ-ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ წრომის საჯარო სკოლა-ნანული პაპუაშვილი; სსიპ-ქალაქ ხაშურის #1 საჯარო სკოლა-მორის დანდურიშვილი; სსიპ-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის #3 საჯარო სკოლა-თამარ გაგლოშვილი.

ქვიშხეთი - ჟამი შენებისა

როგორც ჩანს, ზოგჯერ, ამა თუ იმ ქვეყანას ახასიათებს ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა. საკმარისია გასული საუკუნის 90 - იანი წლების საქართველო დღევანდელს შევადაროთ და ნათქვამში ადვილად დავრწმუნდებით. ნგრევის პროცესი საუკუნის ბოლოს მძაფრად დაატყდა თავს ქვიშხეთის საკრებულოს სოფლებს. გავიხსენოთ: ახლად მოპოვებული თავისუფლება და კარს მომდგარი სიღატაკე, ჩაბნელებული სოფლები, ქუჩებში ტრანსპორტი აღარ მოძრაობდა. ხაშურში ფეხით თუ წახვიდოდი, ან ველოსიპედით. საკუთარი მსუბუქი მანქანები მფლობელებმა ავტოფარეხებში ჩაკეტეს, ასობით „საძმო „ და კრიმინალი თავისუფლად დათარეშობდა. პოლიცია ქუჩაში ვერ გამოდიოდა. ტრასაზე გასვლა დაცვის გარეშე შეუძლებელი იყო. კრიმინალებმა ქვიშხეთელთა ჩაკეტილი მსუბუქი მანქანები გამოიყვანეს და ცხინვალისკენ წაიყვანეს. მერე გამოსასყიდი მოსთხოვეს პატრონებს.

ყაჩაღობაში და ქურდობაში ჩაება მთელი სოფელი. თბილისელთა არც ერთი სახლი არ დარჩა გაუქურდავი. აღარ მუშაობდა სკოლები და კულტურის კერები, დაიხურა საბავშვო ბაღები. აღარ მუშაობდა სავაჭრო ობიექტები. დაინგრა და გაპარტახდა მეურნეობის ინფრასტრუქტურა. ქუჩებში წვიმიან ამინდში ტბორები დგებოდა და გავლა შეუძლებელი იყო. ბირჟა სავსეა უსაქმურებით. და ხელი გაუშვერიათ, იქნებ ვინმემ რაიმე გამოგვიგზავნოსო.

ასეთ მდგომარეობაზე აქვს ნათქვამი, ალბათ, ილია ჭავჭავაძს: „ვაი, იმ ხალხს, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში ყველა, საცა თვითოეული ყველასათვის არ ფიქრობს და ყველა თვითოეულისათვის.“

თითქმის „ჰომო საპიენსი“ გადაგვარდა, ველურობას დაუბრუნდა, გონება დაუბნელდა, აზროვნება ჩაქრა. ადამიანებმა დაივიწყეს, რომ მათი საბოლოო ნათელი გარკვეული მოვალეობაა: იმუშაოს და შექმნას არა მარტო თავისთვის, არამედ სხვისხვისთვისაც. ამას ჰქვია ადამიანი. აშენო სახლი, ფაბრიკა, მოხნა, დათესო, მოსავალი, მოიყვანო. ამ შრომაში ჩააქსოვო საკუთარი ადამიანობა, ხოლო ამისთვის მიიღო რამე, სამაგიერო, შენი აშენებულიდან, შენი შექმნილიდან. ამ შრომაში გამოიწრთო კუნთები, გაავლო ახალი ხაზები, ფორმები, რადგან ადამიანი, სამყაროში არსებული ყოველი ორგანული ქმნილებებისაგან განსხვავებით, შრომაში იზრდება მაღლა-მაღლა მიაბიჯებს თავისი ოცნების საფეხურებზე და გზას უნათებს შთამომავლობას.

ეს შეიძლება ითქვას ადამიანებზე, როცა თეორიები იცვლებიან და ნადგურდებიან, როცა სკოლები, ფილოსოფიური მოძღვრებანი წარმოიქმნებიან და ნადგურდებიან. როცა ბედი ულმობლად ექცევა მათ, ხან მკაცრად, ხან ლმობიერად. მაგრამ, ამ გაუსაძლისი გაჭირვების დროს, იმედი მაინც ცოცხლობდა, საიმედოდ ფეთქავდა და ენთო. და თანდათანობით დაუბრუნდა ქვეყანას რწმენა მომავლისა და ნელ-ნელა დაიწყო წინსვლა, მართალია გაუბედავად, მძიმედ, მცდარად, მაგრამ მაინც წინ მიდიოდა. როდესაც წინ მიაბიჯებ, შესაძლებელია უკანაც დაიხიო, მაგრამ მხოლოდ ნახევარი ნაბიჯით და არასოდეს მთელი ნაბიჯით.

და ქვეყანაში, როდესაც დაინგრა დასანგრევი, დადგა ჟამი შენებისა, რაც ქვიშხეთის საკრებულოსაც დაეტყო (მუნიციპალიტეტის მერის რწმუნებული მალხაზ ღონღაძე).

პირველ რიგში, სავალალო მდგომარეობაში მყოფ კომუნიკაციებს მიექცა ყურადღება. კაპიტალურად შეკეთდა ქვიშხეთში და ტეზერში მისასვლელი გზები: წყალსაწრეტებით და ფეხით სასიარულო ბილიკებით. ევროპული სტანდარტების დონეზე დაიგო ასფალტი ტაშისკრიდან ბულბულისციხემდე. 5 კმ, რომელიც 4 სოფელს ემსახურება. მაღალმთიან სოფლებში რუსაანთ-უბანში და მონასტერში დაიგო ბეტონის გზა. მოასფალტდა ტეზრიდან სავანისუბნამდე და ყიფიანთუბნამდე მისასვლელი გზები.

საკრებულოს სოფლებში მდებარე ამორტიზებული ხიდები კაპიტალურით შეიცვალა. სულ 11 ხიდი.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, გაიხსნა წმინდა მოწამის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი. ჩატარდა შენობის რესტავრაცია. საშუალო სკოლებს ჩაუტარდათ კაპიტალური რემონტი. ქვიშხეთში და ტეზერში აშენდა და გაიხსნა საბავშვო ბაღები. ტაშისკარში, ქვიშხეთში, ტეზერში, სათივეში ბავშვებისათვის მოეწყო გასართობი მოედნები. მშენებლობის პროცესშია ქვიშხეთში ამბულატორიის შენობა. კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ქვიშხეთის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობას, რომელიც სამარცხვინო მდგომარეობაში იმყოფებოდა. (შეიცვალა სახურავი, საიდანაც წყალი ჩამოდიოდა, გარედან ხელახლა შეილესა. ევროპულ დონეზე გარემონტდა ოთახები და რეკრეაციული ზონა. დიდი მოუხერხებელ და გამუყენებელ დარბაზს ტიხრები გაუკეთდა და ლამაზი თანამედროვე სტილის ოთახები მივიღეთ, სადაც მუსიკალური სკოლა განთავსდა. აქვე გამოიყო საჭადრაკო და ფერწერის ოთახები).

როგორც ვხედავთ, უკანასკნელ წლებში აღმშენებლობა იმდენად ბევრია, რომ ჩამოთვლაც კი გაგვიძნელდა.

არ შეიძლება არ ითქვას, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, და ექცევა პროექტით გათვალისწინებულ ხარისხის დაცვას. ზედამხედველობა იმდენად მკაცრია, რომ ტენდერში გამარჯვებული კომპანიები არ ცდილობენ პროექტის უმნიშვნელო დარღვევასაც კი. ბულბულისციხე-ტაშისკრის გზის რამდენიმე ასეული მეტრი დაიწუნა ზედამხედველობამ და ხელახლა დააგებინეს. დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის მშენებლობის მწარმოებელი საერთოდ დაითხოვეს და ახალი ტენდერი გამოაცხადეს.

ჟამი შენებისა გრძელდება. ყველას ხელი მოემართოს, ვისაც ქვიშხეთის საკრებულო უყვარს!

კლიმენტი სუთიაშვილი

სოციალურად დაუცველ შრომისუნარიან პირებს, რომლებიც დასაქმებაზე უარს იტყვიან, შესაძლოა, სოციალურად დაუცველის სტატუსი გაუუქმდეთ

სოციალურად დაუცველ შრომისუნარიან პირებს, რომლებიც დასაქმებაზე უარს იტყვიან, შესაძლოა, სოციალურად დაუცველის სტატუსი გაუუქმდეთ. შესაბამის მექანიზმზე მუშაობა სახელმწიფოს უკვე დაწყებული აქვს.

როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი კაკაურიძემ განუცხადა, სოციალურად დაუცველის სტატუსი არ უნდა იყოს იმისკენ მიდრეკილი, რომ მოსახლეობამ არ იმუშაოს.

“სოციალურად დაუცველი სტატუსი არ უნდა იყოს იმისკენ მიდრეკილი, რომ მოსახლეობამ არ იმუშაოს. შრომისუნარიანი მოსახლეობა უნდა მუშაობდეს. ამ მიზნით გვაქვს ჩვენ სწორედ ჯანდაცვის სამინისტროში საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმების პროგრამა. სწორედ ეს არის ამ პროგრამის პირველი ეტაპი. ამ პროგრამამ მინიმუმ, 2-3 წელი უნდა იმუშაოს. შემდეგში კერძო სექტორში არსებული ვაკანსიების ათვისება უნდა დავიწყოთ, მათ შორის, ამ ადამიანების მიერ. კერძო სექტორში ათასობით ვაკანსიაა, რომელსაც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ იყენებს ის მოსახლეობა, რომელსაც აქვს სოციალურად დაუცველის სტატუსი. ჩვენი მიდგომა იქნება, რომ ეტაპობრივად შევძლოთ, მაქსიმალურად დასაქმდნენ ეს ადამიანები და ნაცვლად სოციალურად დაუცველისა, თავიანთ შემოსავალზე იყვნენ დამოკიდებული. ცალკე თემა იქნება, რომ ჩვენ სოციალურად დაუცველებს, ვინც დასაქმდებიან, შევუნარჩუნებთ იმ პაკეტს, რაც სოციალურად დაუცველებს აქვთ, მაგრამ ამავე დროს, შრომისუნარიანი ადამიანები უნდა იყვნენ მიდრეკილები იქით, რომ კერძო სექტორში იმუშაონ,“ - განaცხადა გიორგი კაკაურიძემ.

სერგი მაკალათია - 130

სერგი მაკალათიას ერთი წერილი ხაშურის მუზეუმიდან

გასული საუკუნის 50-60 - იანი წლების მიჯნაზე გამოვიდა სერგი მაკალათიას ისტორიულ-ეთნოგრაფიული შრომები: ,,ბორჯომის ხეობა“(1957), ,,ძამის ხეობა“(1961), ,,ფრონეს ხეობა“(1963). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სერგი მაკალათიას ეკუთვნის საქართველოს მხარეების შესახებ მეტად სინტერესო შრომები: ,,სამეგრელო“, ,,თუშეთი“, ,,ხევსურეთი“, ,,ფშავი“, ,,მთიულეთი“, ,,მთის რაჭა“და სხვ. ამ შრომებში ავტორი იძლევა მთლიანად მხარის შესახებ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კვლევას. რაც შეეხება შიდა ქართლს, მეცნიერი ,,ღალატობს“ ტრადიციას და გადმოგვცემს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ აღწერილი ცალკე ხეობების იტორიას, მატერიალური კულტურის ძეგლებს, მოსახლეობის სამეურნეო ყოფასა და კულტურას.

სამივე ნაშრომში(,,ბორჯომის ხეობა“, ,,ძამის ხეობა“ ,,ფრონის ხეობა“) სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი ხაშურის მუნიციპალიტეტს, რაც გარკვეულ ინტერესს იწვევდა საზოგადოებაში. ეს ის პერიოდი იყო, როცა ხაშურის ახლადდაარსებულ მუზეუმში (1959 წ.) სათანადო მუშაობა მიმდინარეობდა ექსპოზიციის მოსაწყობად. მუზეუმის დირექტორის ვარლამ გურგენიძისათვის, რომელიც სამხარეთმცოდნეო მუშაობას შესდგომოდა, სერგი მაკალათიას შრომები სამაგიდო წიგნებად ქცეულიყო. უფრო მეტიც, სერგი მაკალათიას ეს შრომები მისთვის გზამკვლევი აღმოჩენილიყო მხარის ისტორიის შესწავლის საქმეში. შრომებში არაერთი საინტერესო ფაქტი თუ მოვლენა იქცევდა ყურადღებას, რასაც გარკვეული ადგილი უნდა დათმობოდა ახლადდაარსებული მუზეუმის ექსპოზიციაში.

,,ბორჯომის ხეობაში“ სერგი მაკალათია სათანადო ადგილს უთმობს ხაშურის მუნიციპალიტეტის ისეთ ცნობილ სოფელს, როგორიც ტაშისკარია. ავტორი იძლევა ზემო და შიდა ქართლის საზღვარზე მდებარე სოფლის ისტორიასთან დაკავშირებულ მოვლენებს .

ავტორი ასევე საინტერესოდ აღწერს ქარელი-ხაშური-ბორჯომის მუნიციპალიტეტების საზღვარზე მდებარე ალეწის ციხეს.

ეს ციხე ძამისა და გუჯარეთის ხეობების წყალგამყოფ ქედზე მდებარეობს და მხარის თავდაცვის საქმეში გარკვეული როლი ჰქონდა დაკისრებული. ისტორიკოსი ყურადღებას ამახვილებს იმ გზებზე, რომელსაც ეს ციხე იცავდა. ,,ალეწის ციხეს თავის დროზე დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, იგი იცავდა სამხრეთიდან ხაშურისაკენ მიმავალ გზას, რომელიც აქედან გადიოდა. თუ მტერი ყერძენის ციხე-სიმაგრეს გაარღვევდა, მას ჰქონდა ორი მიმართულებით გასასვლელი: ერთი გვერდისუბნიდან, ალეწის ციხეზე შემოვლით, ხაშურისკენ, მეორე გუჯარეთიდან აბუხალო-ტყემლოვანას გზით, გვ.22).

ხაშურის მუნიციპალიტეტზე ვრცლად არის საუბარი ს. მაკალათიას ,,ძამის ხეობაში“. ძამის ხეობის დიდი ნაწილი ქარელის მუნიციპალიტეტის ფარგლებშია მოქცეული და მხოლოდ მცირე ნაწილია ხაშურის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში, მაგრამ ავტორი სათანადო ყურადღებას იჩენს ისეთი საეტაპო ძეგლის მიმართ, როგორიცაა წრომის VII საუკუნის ტაძარი.

საერთოდ, ავტორი საინტერესოდ გვიამბობს სოფელ წრომის თავგადასავალზე, აქ განვითარებულ ისეთ მოვლენაზე, როგორიც იყო ,,ლეკიანობა“, მის შედეგებზე, სოფლის მოსახლეობისაგან დაცლის თუ ხელმეორედ დასახლებაზე და სხვ.

ასევე საინტერესოა ს. მაკალათიას ნაამბობი იმ დრამატულ მოვლენებზე, რასაც ადგილი ჰქონდა ძამის ციხეზე .

უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი ხაშურის მუნიციპალიტეტი სერგი მაკალათიას ნაშრომში ,,ფრონის ხეობა“.

ავტორი მიმოიხილავს ფრონის სახელწოდებით ცნობილ სამ ხეობას, რომელსაც ქმნიდა მცირე მდინარეები - დვანის ფრონე, ფცის ფრონე და ალის ფრონე. როგორც ვხედავთ, სამი ფრონიდან ერთი - ალისა, ხაშურის მუნიციპალიტეტშია.

ფცის ფრონეს ხეობაზე საუბრისას მკვლევარი საინტერესო ინფორმაციას იძლევა ხაშურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ცნობილ სოფელზე, წაღვლზე, რომელიც გამოირჩევა თავისი ისტორიული წარსულით. მკვლევარი გვაწვდის ინფორმაციას წაღვლის ციხე-გალავანზე, რომელიც უკავშირდება დავით აღმაშენებლის სახელს, ეკლესიებზე და სხვ.

მკვლევარი ვრცლად ჩერდება ალის ფრონეს ხეობაზე. მიმოიხილავს ხეობის ცნობილ სოფლებს - სატივეს, ვაყას, ნაბახტევს, ბრილს, დუმაცხოს, ალს, ულუმბას. იძლევა ამ სოფლებში ასებული ეკლესია-მონასტრების დახასიათებას, გვაცნობს ძველ წარწერებს, თქმულებებს და სხვ.

სწორედ ამ წიგნს უკავშირდება სერგი მაკალათიას წერილი, რომლის ადრესატიც ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ვარლამ გურგენიძეა. წერილს 1964 წლის 12 იანვარი უზის თარიღად. როგორც წერლიდან ჩანს, ვ. გურგენიძეს ს. მაკალათიასთვის მიუმართავს ფრონის ხეობის ისტორიის ზოგიერთი საკითხის დასაზუსტებლად.

სერგი მაკალათიას წერილი ამ რამდენიმე წლის წინ, ხაშურის მუზეუმში 1964 წელს შემოსული დოკუმენტაციის გაცნობისას, იქნა ნანახი. წერილის ავტორის, ცნობილი ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის ს. მაკალათიას საყოველთაოდ აღიარებული სახელისა და თვით წერილის შინაარსის გათვალიწინებით, იგი ამოღებული იქნა ერთ წიგნად აკინძული შემოსული დოკუმენტაციებიდან, ჩაირიცხა ვარლამ გურგენიძის ფონდში და მიეცა სათანადო სამუზეუმო ნომერი - ხმმ, საინვ.#11841/დ-4257.

სერგი მაკალათია ვარლამ გურგენიძეს წერს:

,,სალამი ვარლამ გურგენიძეს,

თქვენი წერილი მივიღე, ჩემი ,,ფრონის ხეობა“ მოგწონებიათ და დაგხმარებიათ ზოგიერთი ძეგლის გაცნობა-გარკვევაში.

თქვენ იწერებით ,,ქვაბთახევის“ შესახებ და მოგყავთ წარწერაც, რომელშიაც გადმოცემულია ქვაბთახევის დედათა მონასტრის აოხრებაზე თემურ-ლენგის მიერ. ეს არის იგივე ქვათახევის მონასტერი, კავთურას ხეობაში, რომელიც დაანგრია თემურ-ლენგმა და მონაზვნებიც გაჟლიტა. ამის შესახებ ნახე ჩემს წიგნში ,,კავთურას ხეობა“, აღწერილია მონასტერიც და ეს ეპიზოდიც.

რაც შეეხება სოფ. გვირგვინასთან არსებული ,,კლდექალაქის“ შესახებ, რომელიც მე არ მინახავს, საყურადღებოა, გაზაფხულზე შეიძლება, გესტუმროთ ხაშურში და ეს ძეგლი დავათვალიეროთ. მეც დამაინტერესა ამ ძეგლმა. ახლა იბეჭდება ჩემი ახალი შრომა ,,ლეხურას ხეობა“, სადაც საყურადღებო ისტორიული ძეგლებია აღწერილი და დათარიღებული. ესეც დაგეხმარება შიდა ქართლის ძეგლების შესწავლაში.

ამ ზაფხულს ექსპედიციის მოწყობას ვაპირებ ქსნის ხეობაში.

შევეცდები, მოვინახულო თქვენი მუზეუმი, მეც მაინტერესებს მისი გაცნობა.

პტივისცემით, სერგი მაკალათია

12/I – 1964 წ.“

წერილში ყურადღებას იქცევს ქვაბთახევის საკითხი. მისით დაინტერესებულია ვ. გურგენიძე, რატომ არაფერს ამბობს ,,ფრონის ხეობის“ ავტორი მის შესახებ?

ამ სახელწოდების ადგილი არსებობს ხაშურისა და ზნაურის რაიონების საზღვარზე (ძველი ადმინისტრაციული დაყოფით), სოფელ ჩორჩანის ქვაბთის ეკლესია. და აქ არსებული ეკლესია, მისთვის უცნობია ამავე კასპის მუნიციპალიტეტში სერგი მაკალათია ვარლამ ,,კავთურას ხეობა“: ,, ეს არის იგივე რომელიც დაანგრია თემურ-ლენგმა ჩემს წიგნში ,,კავთურას ხეობა“.

სამაგიეროდ მეცნიერმა არ იცის ,,სოფ. გვირგვინასთან არსებული ,,კლდექალაქის“ შესახებ“ და ვარლამ გურგენიძეს პირდება გაზაფხულზე ესტუმროს ხაშურში და ეს ძეგლი ერთად მოინახულონ. ,,მეც დამაინტერესა ამ ძეგლმა“- ბრძანებს მეცნიერი.

ამავე დროს გამოთქვამს სურვილს მოინახულოს ხაშურის მუზეუმი. ,,მეც მაინტერესებს მისი გაცნობა“, - ამბობს მეცნიერი და არც არის გასაკვირი, მისი საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება ხომ სამუზეუმო საქმიანობაც იყო. ეს კარგად ჩანს გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მაგალითზე, მუზეუმისა, რომელიც სერგი მაკალათიას სახელს ატარებს.

ერთი საინტერესო დეტალი ხაშურის მუნიციპალიტეტის სიძველეების მიმართ მეცნიერის დამოკიდებულების შესახებ.

XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან მუნიციპალიტეტის სოფელი ოსიაური და მისი ციხე ვეზირიშვილების ხელში გადავიდა და ამ გვარის მფლობელობაში იყო. 1797 წელს მათ ციხე განუახლებიათ, რაზეც ლაპარაკობდა მასზე არსებული წარწერა. აღწერა შემდეგ ჩამოვარდნილა და ადგილობრივ ინახებოდა ვანო ამირხანოვის სახლში.

ეს ფილა 1929 წელს ოსიაურიდან წაუღია პროფესორ სერგი მაკალათიას და სახელმწიფო მუზეუმში ჩაუბარებია, სადაც ამჟამად ინახება.

რაც შეეხება ისევ ქვაბთახევსა და იქ არსებულ ეკლესიას.

1961 წლის 5 სექტემბერს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ი. გ. გრძელოვის მიერ მიტანილი იქნა მოჩუქურთმებული და ორნამენტებით შემკული 4 ქვა. მიღებაჩაბარების აქტზე ხელით მიწერილია ,,ქვათახევი“. ოთხივე ქვა მოგვიანებით, 1964 წლის 10 ივნისს, არის გატარებული ძირითად შემოსულობათა წიგნში და თითოეულ ქვას მიცემული აქვს სამუზეუმო ძირითადი ნომერი 185-დან 188-მდე. რაც შეეხება კლასიფიკაციას, მიჩნეულია, რომ ეთნოგრაფიული ხასიათის ექსპონატებია. დავთარში ერთ ქვას წარმომავლობის გრაფაში უწერია ჩორჩანა-ქვათახევი(#185/ე-31), ორს - მხოლოდ ჩორჩანა (#186/ე-32; #187/ე-33), რაც შეეხება მეოთხე ქვას, მისი წარმომავლობა არ არის ნაჩვენები.

მიუხედავად ასეთი არასრულყოფილი ჩანაწერისა, ადვილად შეიძლება ოთხივე ქვის ქვათახევისათვის მიკუთვნება. პირველ რიგში ამაზე მიგვანიშნებს მასალა და ერთი ხელწერა.

აქ ერთ მომენტსაც უნდა მიექცეს ყურადღება. მოსახლეობა ადგილს, რომელსაც უკავშირდება ოთხივე ქვა, ქუაბთახევს//ქვაბთახევს, ხოლო ეკლესიას ქვაბთის მონასტერს უწოდებს.

გასული საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე ორჯერ მოვინახულეთ ქვაბთახევი და ქვაბთის მონასტერი. დიდი ინტერესით დავათვალიერეთ ეკლესიის ნანგრევები, გვინდოდა, ადგილზე გვენახა ხაშურის მუზეუმში დაცული ორნამენტირებული და მოჩუქურთმებული ქვების მსგავსი ქვები, მაგრამ ამაოდ. ეკლესია ძლიერ დაზიანებული იყო, იკითხებოდა მხოლოდ ის, რომ ეკლესია სამნავიანი ბაზილიკა უნდა ყოფილიყო. მის სამხრეთით მოჩანდა კლდეში ნაკვეთ ქუაბები//ქვაბები, რომლისგანაც წარმომდგარიყო ხევისა და ეკლესიის სახელწოდება.

ადგილობრივ გაზეთში წავაწყდი თ. გელაშვილის მცირე მოცულობის წერილს ,,ქვაბთის მონასტერი“(გაზ. ,,გამარჯვების გზა“,1973, 29 სექტემბერი). ავტორი აღნიშნავს ეკლესია აგებულია მეხუთე საუკუნეში და თავდაპირველად ერთნავიანი ბაზილიკა იყო. მეეცხრე საუკუნეში ეკლესიისთვის ნავები მიუშენებიათ. თემურ-ლენგის შემოსევების დროს მონასტერი დაუნგრევიათ და სამონასტრო ცხოვრებაც ჩამკვდარა. წერილში, რამდენადაც შესაძლებელია, სათანადო ყურადღება ექცევა ეკლესიის სტილისტურ დახასიათებას. აღნიშნულია, რომ ეკლესიას შემოვლებული აქვს ქვის ჩუქურთმიანი ლავგარდანი. წერილის ავტორი მიუთითებს, რომ ეკლესიას შემოვლებული აქვს გალავანი, ეზოში არის ქვევრები. ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს, სამხრეთით კლდეში არის გამოქვაბული.

ამ წერილის წაკითხვამ უფრო დიდი ინტერესი გააჩინა, კიდევ გვენახა ქვაბთის მონასტერი, მაგრამ ადმინისტრაციული საზღვრის იქით მოქცეულიყო და, სამწუხაროდ, ეს ვერ შევძელით...

რაც შეეხება სერგი მაკალათიას სტუმრობას ხაშურში და სოფელ გვირგვინასთან ,,არსებულ ,,კლდექალაქის“ მონახულებას, ჩვენთვის უცნობია, შედგა თუ არა ისტორიკოსის სტუმრობა ხაშურში და მისთვის უკვე საინტერესო ძეგლის დათვალიერება, არ ვიცით. აღარც მუზეუმის ძველი თაობაა, რომელიც აღნიშნულის შესახებ რაიმეს გაიხსენებდა. გადავათვალიერე გასული საუკუნის 60-70 - იანი წლების შთაბეჭდილებათა წიგნებში გაკეთებული ჩანაწერები, ეგება რამეს წავაწყდე-მეთქი, მაგრამ ამაოდ.

სერგი მაკალათიამ მეტად საინტერესო მემკვიდრეობა დაგვიტოვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული შრომების სახით. ეს შრომები დღეს ნებისმიერი მკვლევარისათვის, და განსაკუთრებით მათთვის, ვისაც მუშაობა უხდება მხარეთმცოდნეობის სფეროში, სამაგიდო წიგნებად არის ქცეული. მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ისტორიკოსის მდიდარ სამეცნიერო მემკვიდრეობას.

თამაზ ლაცაბიძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების მმართველი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა

თუ წარმოადგენთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს, შესაძლებლობა გაქვთ, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის შემთხვევაში, მიიღოთ სახელმწიფო თანადაფინანსება.

პროგრამის ბენეფიციარი უფლებამოსილია სააგენტოში თანადაფინანსების მისაღებად საჭირო დოკუმენტები წარმოადგინოს 2023 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს ბენეფიციარზე თანადაფინანსების თანხა.

პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობა და მათთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროგრამის ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის, თანადაფინანსების გზით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესასყიდად

საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროგრამის განმახორციელებელია სოფლის განვითარების სააგენტო.

პროგრამის განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

პროგრამა განხორციელდება საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში, გარდა თვითმმართველი ქალაქებისა.

პროგრამა ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტრაქტორის (არანაკლებ 20 და არაუმეტეს 100 ც/ძ-ის სიმძლავრის) და ტრაქტორზე მისაბმელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იმპლემენტ(ებ)ის თანადაფინანსებას.

შესასყიდი ტექნიკა უნდა იყოს ახალი (ექსპლუატაციაში არმყოფი) და აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა წარმოებული უნდა იყოს განაცხადის წარდგენამდე არაუმეტეს 2 კალენდარული წლით ადრე;

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე უნდა ვრცელდებოდეს საგარანტიო პირობები, სააგენტოში განაცხადის წარდგენიდან არანაკლებ 6 თვის განმავლობაში;

პოტენციურ ბენეფიციარს არ უნდა გააჩნდეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ან/და მისი არანაკლებ 5 მეპაიის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ან ნაკვეთების ჯამური ფართობი უნდა იყოს არანაკლებ 20 ჰა და მდებარეობდეს ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში.

ასევე, მიწის ნაკვეთი შესაძლებელია იყოს იჯარით მიღებული სახელმწიფოსგან, მუნიციპალიტეტისგან ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან.

იჯარის/ქვეიჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს სააგენტოში განაცხადის შეტანის მომენტისთვის არანაკლებ 5 წელს, იჯარის/ქვეიჯარის ხელშეკრულება უნდა იყოს რეგისტრირებული სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

ასევე, მიწის ნაკვეთი შესაძლებელია იყოს იჯარით მიღებული სახელმწიფოსგან, მუნიციპალიტეტისგან ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან.

იჯარის/ქვეიჯარი დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს სააგენტოში განაცხადის შეტანის მომენტისთვის არანაკლებ 5 წელს, იჯარის/ქვეიჯარი ხელშეკრულება უნდა იყოს რეგისტრირებული სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

თანადაფინანსების მოცულობა, შეადგენს შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების არაუმეტეს 50%-ს, მაქსიმუმ 100,000 ლარს. პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობას შეიძლება წარმოადგენდეს:

საკუთარი ფულადი სახსრები;

სესხი/ლიზინგი, რომელიც გაცემულია, მათ შორის, „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებით დამტკიცებული „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში;

პოტენციური ბენეფიციარის მიერ მიღებული ან მისაღები საგრანტო დაფინანსება.

პროგრამა ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტრაქტორის (არანაკლებ 20 და არაუმეტეს 100 ც/ძ-ის სიმძლავრის) და ტრაქტორზე მისაბმელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იმპლემენტ(ებ)ის თანადაფინანსებას.

პროგრამის ფარგლებში, პოტენციურ ბენეფიციარს შეუძლია დაფინანსების მოთხოვნა ერთი ან რამოდენიმე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად, მაგრამ ერთი სახეობის ტექნიკა უნდა იყოს არაუმეტეს ერთი ერთეული.

თანადაფინანსება განისაზღვრება ჯამურად ერთ პოტენციურ ბენეფიციარზე.

ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში დაფინანსდება არაუმეტეს 3 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

პროგრამის ფარგლებში, განაცხადები მიიღება ელექტრონული ფორმით.

პროგრამაში განაცხადების მიღება მიმდინარეობს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრს

ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი

- სპეციალისტი გვირჩევს -

ფიჭვის კვირტის ბაღლინჯო საშიში პარაზიტია

სოციალური ქსელებით და სხვა საინფორმაციო საშუალებებით, ალბათ ბევრმა ნახა, თუ როგორ გააქტიურდა, საფრანგეთის და შემდეგ ესპანეთის რიგ ქალაქებში, მავნებელი პარაზიტი მწერი ე.წ. „საწოლის ბაღლინჯო“. საბედნიეროდ, საქართველოში, ამ მხრივ, საშიშროება არ არსებობს, თუმცა, ამ ბოლო პერიოდში, შეიმჩნევა ამ მწერის ნაირსახეობის - ფიჭვის კვირტის ბაღლინჯოს გააქტიურება. როგორც ანალიზებმა და დაკვირვებამ გვიჩვენა, ხაშურში და მის შემოგარენში გაშენებულ ფიჭვის ხელოვნურ კორომებში ეს პარაზიტი მწერი საკმაოდ გააქტიურდა და გამრავლდა. მართალია იგი მხოლოდ ფიჭვის კვირტებითა და თესლით იკვებება, მაგრამ ზამთრის დადგომასთან ერთად, არ არის გამორიცხული, რომ იგი საკარმიდამო ნაკვეთებშიც გამოჩნდეს და საცხოვრებელ ბინებშიც შეაღწიოს. ამიტომ მოსახლეობას მოვუწოდებთ, რომ მისი დაფიქსირების შემთხვევაში, საკარმიდამო ნაკვეთებში (ან ეზოებში) დარგულ ფიჭვებზე გამოვიყენოთ პესტიციდები (დეცისი, დურსბანი ან შემცვლელი ინსექტიციდები). საცხოვრებელ ბინებში კი ყველაზე უსაფრთხო საშუალება მტვერსასრუტია. უკიდურეს შემთხვევაში კი შესაძლებელია „დიხლოფოსის“ გამოყენებაც, ოღონდ შესაბამისი წესების სრული დაცვით.

ამ პარაზიტის სიმრავლის შემთხვევაში, მოსახლეობას შეუძლია მიმართოს სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონულ სამმართველოს ხასშურის სამსახურს (ტაბიძის ქ. #2) ტ. 5 91 51 48 04.

რ. ღამბარაშვილი

სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს უფროსი ინსპექტორი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მხარდაჭერით, მსოფლიო კამპანია „ვარდისფერი ოქტომბრის“ ფარგლებში, კლინიკა „გორმედში“ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა.

სტუმარ ქალბატონებს კამპანიის შესახებ მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეო ნინო ლიპარტელიანმა.

დაავადების ადრეულ დიაგნოსტიკასა და დროული სკრინინგის მნიშვნელობაზე ქალბატონებს ესაუბრნენ „გორმედის“ ქსელის კლინიკური

დირექტორი ხათუნა შრუბი და სკრინინგის კოორდინატორი თეონა ხინჩიგაშვილი, მამოლოგი ნინო ლომსაძე.

ძუძუს კიბოს შესახებ ცნობადობის ამაღლება მნიშვნელოვანია, რათა საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია ძუძუს კიბოს ადრეული ნიშნების, სკრინინგის აუცილებლობისა და თვითგასინჯვის ტექნიკის შესახებ, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია დაავადების ადრეულ ეტაპზე აღმოჩენასთან, დროულად ჩატარებულ მკურნალობასა და შესაძლო საუკეთესო გამოსავლებთან.

სოფელ ნაბახტევთან მიმდინარეობს დაზიანებული ხიდის დემონტაჟის სამუშაოები. მობილიზებულია ტექნიკა

განხორციელდა მოაჯირის და ხიდის ჩაშლილი კონსტრუქციის დემონტაჟი.

ადგილზე იმყოფებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე, ა(ა)იპ “ხაშურსერვისის’ ხელმძღვანელობა.

უახლოეს პერიოდში დაიწყება საპროექტო სამუშაოები ხიდის რეაბილიტაციის მიზნით.

ხიდის ჩანგრევის შედეგად, დაზიანდა გაზის მილი, რის გამოც მოსახლეობას გაზმომარაგება შეწყვეტილი ჰქონდა.

ნაბახტევის მოსახლეობა სოფელთან დამაკავშირებელი მოქმედი ალტერნატიული ხიდით სარგებლობს.

ჟოლოს ტყლაპი - სიახლე ხაშურელი მეწარმე ქალბატონისგან

რაუნის, კრეპისა და შტრუდელის ეპოქაში, ცალკეული ეროვნული დესერტები თითქოს ჩრდილში ექცევა, მაგრამ ადვილად შესამჩნევია, რომ უცხოელი სტუმრების ინტერესის სფეროს, კონკრეტული ადგილების გარდა, სწორედ ქვეყანაში არსებული ტკბილეულის სახესხვაობები წარმოადგენენ. მანამ, სანამ დონატი ჩვენი რაციონის წამყვან ადგილს იკავებს, ქართული დესერტის სახეობები, კულტურული ძეგლის სტატუსს იღებენ. ტყლაპი, ჩვენი ეროვნული დესერტებიდან ერთ-ერთია, რომელიც ექსპორტზე გადის და

აქაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტურისტების მხრიდან. დამეთანხმებით, ალბათ, რომ თითოეული ჩვენგანის ბავშვობა იმდენადაა დაკავშირებული ამ დესერტთან, რამდენადაც სოფელთან და ბებიასთან, რომელიც თავისი დაღალული ხელებით, რუდუნებით ამზადებდა ტყლაპს.

ცოტა რამ ტყლაპის შესახებ: ტყლაპი მოხარშული ხილის ფაფის გამომშრალი თხელი ფენაა. მას როგორც საკვებად, ასევე სამკურნალო საშუალებად იყენებენ... ქართული ხილის ტყლაპი გამორჩეულია თავისი საგემოვნო თვისებებით. მას არ ჭირდება შეწამვლა და მისი ნაყოფი ბიოლოგიურად სუფთაა. ტყლაპი უებარი წამალია ყელის ტკივილისთვის. მისთვის დამახასიათებელია სასიამოვნო, მოტკბო - მომჟავო გემო; კონსისტენცია - რბილი და ელასტიური. გემრიელი, სანუკვარი საჭმელია.

არსებობს სხვადასხვა გემოს და ფერის ტყლაპები. არის მუქი წითელი, მომჟავო ტყლაპი და ყავისფერი, რომელიც ტკბილია და უფრო მეტად სასიამოვნო მათთვის, ვისაც მკვეთრი გემო ნაკლებად მოწონს. ის მზადდება, ტყემლის, ვაშლის, ჭანჭურის, თუთის და ბევრი ისეთი ხილისაგან, რომელიც შესაძლოა წარმოუდგენელი იყოს ტყლაპთან მიმართებით. დამუშავება ხდება, რომელიმე კონკრეტული ხილის წყალში ჩახარშვის შედეგად.

რამდენიმე დღის უკან, „ხაშურქალაქობის“ დღესასწაული გაიმართა და ხაშურელმა მეწარმეებმა საკუთარი ნაწარმი წარმოადგინეს. მრავალფეროვან პროდუქტს მაია ლოლაძუის მიერ დამზადებული ნაირფერი ტყლაპიც შეემატა. ხაშურელი, სასიამოვნოდ მოუბარი ქალბატონი ტყლაპს რამდენიმე თვეა, რაც ოჯახურ პირობებში ამზადებს და მომხმარებელს სთავაზობს. მისი ტყლაპები, გარდა გემოვნური თვისებებისა, დიზაინითაც მიიქცევს თქვენს ყურადღებას. მაია ლოლაძე საუბარში გვიმხელს, რომ მას ხატვა უყვარს, გატაცებულია პეიზაჟებით.

- როცა ხატვის ნიჭი გაქვს, სხვა ხედვა გაქვს, ადვილად მოდის იდეაც. გავიგე რომ დღესასწაულზე იქნებოდნენ უკრაინელი სტუმრები, ლეღვის ტყლაპზე ჟოლოს ტყლაპით დავაწერე „დიდება უკრაინას“. გავაკეთე საქართველოს დროშა და დღსასწაულზე ასეთი სახითაც გავიტანე ტყლაპი... ტყლაპისაგან დამზადებული მაქვს ჭადრაკის დაფა, მუსიკალური ფურცელი, გულის პულსი, ვარდებები... საინტერესო ჩანაფიქრიც მაქვს: გავაკეთო წიგნი. დავამზადებ სხვადასხვა ხილის ტყლაპის ფურცლებს, რომლებსაც ავკინძავ წიგნად, - ამბობს ქალბატონი მაია.

მაია ლოლაძე ტყლაპს, რაც მის საქმიანობაში ყველაზე მეტად განსხვავებული და კრეატიულია, ჟოლოსგან ამზადებს. ჟოლოს ტყლაპი მან თბილისში მთაწმინდაზე გამართულ „ყველის ფესტივალზე“, „თბილისობაზე“ და „ხაშურქალაქობაზე“ წარმოადგინა. რამდენიმე დღეში ნაწარმს საქართველოში ორ ლოკაციაზე გამართულ „პურის ფესტივალზეც“ წარადგენს.

წლეულს დავიწყე ტყლაპის წარმოებაც და ფესტივალებზე გასვლაც. ახალციხეში არის მეგობრის დედა, რომელიც ამზადებს ტენილ ყველს აგერ უკვე 17 წელია. ეს ადამიანი აქტიურად იღებს მონაწილეობას ფესტივალებში და მისი თანადგომით პირველად გავედი მთაწმინდაზე „ყველის ფესტივალზე“, სადაც ჩემმა ნაწარმა ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა. სხვათაშორის, „ხაშურქალაქობის“ დღესასწაულზეც

(დასასრული VI გვერდზე)

ჟოლოს ტყლაპი - სიახლე ხაშურელი მეწარმე ქალბატონისგან

(დასასრული)

გამოჩნდა ადამიანი, უფლისციხის მუზეუმის დირექტორი, რომელმაც შემომთავაზა უფლისციხეში აღდგენილ(მარანში ღვინის დაგემოვნებისას წარმოვადგინო ჩემი ნუგბარი მისაყოლებლად.

ჩემთვის, როგორც დამწყები ტყლაპის მწარმოებელისათვის მნიშვნელოვანია

ფესტივალებზე წარმოდგენა, რადგან ჩემს პროდუქციას ვუწევ რეალიზაციას, იზრდება ცნობადობა. არ ვიცი რა გითხრათ. მე თვითონ ვარ მოწოდებით ამ საქმისათვის, ჩემი ჰობიც არის და მოწოდებაც, ყველაფერი იწყება იმით, რომ ძალიან მიყვარს მცენარის მოვლა, ჩემი ხელით ვაკეთებ ყველაფერს... მაქვს შემოთავაზება მისაქციელის „ნოზაძეების საოჯახო მარანიდან“, სადეგუსტაციო დაფებზე წარმოვადგინო ჩემი პროდუქტი... მით უფრო რომ ჟოლოს ყველასაგან განსხვავებული გემო აქვს, გამოირჩევა კონსისტენციაც.

3 წლის წინ მაია ლოლაძემ პროექტ „დანერგე მომავლის“ ფარგლებში ხაშურში 2000 კვადრატულ მეტრზე მეუღლესთან ნუკრი ზენაშვილთან ერთად ჟოლოს ბაღი გააშენა, რომელსაც დღემდე წარმატებით უვლის. მისი მიზანია, განვითარდეს როგორც მეწარმე ქალი და ჟოლოს სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქტის მოყვანიდან, მეორეულ წარმოებაზე გადაინაცვლოს. როგორც თავად აღნიშნავს, მისი ბიზნესის მთავარი დანიშნულებაა ჟოლოს ჯემის, მურაბის, ცოცხალი წვენის, ტყლაპის, ჩირის, ჟოლოს მარცვლებისა და ფოთლებისგან ჩაის დამზადება. გასული ორი წლის განმავლობაში მოსავლის მიღების შემდეგ მხოლოდ ჟოლოს გადაუმუშავებელი სახით რეალიზაციას

ახდენდა. პარალელურად, საცდელი მიზნით, ჯემი, მურაბა, ცოცხალი წვენი, ტყლაპი და ჩირი დაამზადა. შედეგი საკმაოდ ეფექტური იყო რეალიზაციისა და შემოსავლის მხრივ, დიდი მოწონება დაიმსახურა მომხმარებლებშიც.

ამან გადამაწყვეტინა ჩემი ბეზნესის გაფართოება და ჟოლისაგან სხვადასხვა ნაწარმის დამზადება-რეალიზაცია. წლეულს ივნისში, როცა ჟოლომ მწიფობა დაიწყო, დასაწყისში კარგი მოსავალი მივიღეთ. ივლისის წვიმების შედეგად კი ძალიან დაზიანდა, ვკრეფდი მეორეხარისხოვან ჟოლოს, მომხმარებელი კი საუკეთესო პროდუქტს ითხოვს. ჩემი ნაწვალები და ნაშრომი ძალიან მენანებოდა, ვაკეთებდი მურაბას, ჯემს. მერე მოვიდა იდეა, რომ გამეკეთებინა ჟოლოს ტყლაპი. ვიფიქრე თუკი სხვა ხილისგან მზადდება, რატო ჟოლოს ტყლაპი არ იქნება მისაღები. სხვათაშორის, ძალიან არომატული და გემრიელია. ჟოლოს შენარჩუნებული აქვს ძირითადი კვებითი ღირებულებები, ვიტამინები. არ აქვს შაქრის დანამატი და სამკურნალოდაც გამოიყენება.... დავიწყე ჟოლოს ტყლაპის დამზადება ოჯახური წარმოების ფარგლებში. როგორც გითხარით, აღმოჩნდა, რომ ჟოლოს ტყლაპი ძალიან გემრიელი იყო. შემდეგ ლეღვის ტყლაპი გავაკეთე, მსხლის, ქლიავის ტყლაპებიც და ამ ეტაპზე ძალიან დიდი მოთხოვნაა ჩემს პროდუქტზე მეგობრებში, ახლობლებში. ამ დროისათვის, არ მიცდია მარკეტებში, სავაჭრო ობიექტებში შესვლა, რადგან არ მაქვს იმ რაოდენობის, იმ წარმადობის პროდუქცია რომ მარკეტებში გავიტანო. ჩემს წარმოებას „ჟოლი ბერი“ დავარქვი.

პრაქტიკული გამოცდილებისა და სხვების მრავალწლიანი მუშაობის დაკვირვების საფუძველზე ,ქალბატონმა მაიამ საქმიანობის ის სფერო შეისწავლა, რომლის განხორციელებაც სურს. თანამედროვე პირობებში, ხილის გადამუშავებით მიიღებული პროდუქტების ბაზარზე კონკურენცია არის იმდენად მაღალი, რომ მასზე შესვლისა და დამკვიდრებისათვის აუცილებელია მაღალხარისხიანი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება. ამისათვის, ერთერთი მთავარი პირობა არის გამართული ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი საწარმოს არსებობა, რა მიზნითაც გეგმავს მონაწილეობას პროექტში.

გეგმავს ჟოლოს საკონსერვო ხაზის განვითარებას. იყენებს აგრონომებთან კონსულტაციის შედეგად შრჩეულ ბიოლოგიურად სუფთა პრეპარატებს. მისი მიზანია, გადავიდეს სრულიად ბიო წარმოებაზე. გეგმები მრავალფეროვანი აქვს. ვინაიდან საქართველოში აქტუალური გახდა მინერალური ნივთიერებებითა და ვიტამინებით მდიდარი პროდუქტების გამოყენებბა, ამ მოცემულობით განსაკუთრებით აღსანიშნავია ჟოლოს სამკურნალო თვისებები, რომელიც შეიცავს ა,ბ,ც,დ,ე ჯგუფის ვიტამინებს და ბიოაქტიურ ნივთიერებებს. მის წარმოებაში შაქარი ჩანაცვლდება თაფლით, რაც დამატებით გემოვნურ და სამკურნალო თვისებებს შესძენს ნაწარმს.

მინდა განვითარდე, მეტი ვაწარმოო, ცნობადობა გავზარდო ჩემი წარმოების.

ხშირად მეკითხებიან, როგორ აკეთებ, როგორ იგონებ ამ ყვლაფერსო. როცა იწყებ წარმოებას, აზარტში შედიხარ, და თანდათან მეტი იდეა მოგდის, რა გააკეთო, როგორ გაამრავალფეროვნო შენი ნამუშევარი. გარდა ამისა მიყვარს კულინარია, კონდიტერია. ვაცხობ ტორტებს. მიყვარს ყველაფერი იმის კეთება, რაც ჩემს ფანტაზიას რეალობად აქცევს. ჩემი ნაწარმის პირველი დამგემოვნებლები ჩემი ოჯახის წევრები, მეგობრები, თანამშრომლები არიან, რომლებიც ძალიან დიდ მოტივაციას, სტიმულს მაძლევენ.

სამომავლოდ ვფიქრობ ტყლაპის წარმოებას დავამატო ჩირებიც. გამომშრალი ხილი მეტად ინარჩუნებს სამკურნალო თვისებებს და მეტად ნატურალურია. როდესაც შაქართან ერთად მუშავდება ნუგბარი, მომხმარებელი თავს იკავებს, ჯანსაღ პროდუქტს ანიჭებს უპირატესობას... ჩემი ტყლაპები მეგობრამა შვილს აფრიკაში გაატანა საჩუქრებად, სადაც თურმე ტყლაპს ჩაიში ყრიან და ისე მიირთვევენ, უფრო მეტი სარგებელი აქვსო.

მაია ლოლაძეს ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი. მუშაობს რკინიგზის სავაგონო დეპოში ოპერატორად. აქვს საბანკო სფეროში მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილებაც.

ამ ეტაპზე, ჟოლოს ტყლაპი - სიახლე ხაშურელი მეწარმე ქალბატონისგან

აქცენტსვაკეთებსაცალოგაყიდვებზე, კორპორატიული გაყიდვები მოითხოვს ცნობადობის გაზრდას და რეპუტაციის მოპოვებვას. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ კორპორატიულ გაყიდვებზე, ბაზარზე თავის დამკვიდრების შემდეგ ვკონცენტრირდები. საცდელი მიზნით დამზადებული ჯემი, მურაბა, ტყლაპი, საცალო გაყიდვებით გავყიდე, პირადი კონტაქტებისა და სოციალური ქსელის გამოყენებით, ასევე ხაშურში ვთანამშრომლობ არა ქსელურ მაღაზიასთან...

ვფიქრობთ, მაია ლოლაძეს სპეციფიკური ნიშა აქვს, ჟოლოს ნაწარმი. მისი ფერადი, ლამაზ-ლამაზი ტყლაპები თვალისმომჭრელია. ჩვენი გაზეთი სისტემატიურად თვალს ადევნებს ხაშურელი მეწარმე ქალების განვითარებას, და, რაღა თქმა უნდა, მათი ყოველი წარმატების მხარდამჭერია. ასეა დღესაც, როდესაც ქალბატონი მაიას ნაწარმს გავეცანით. წარმატებებს ვუსურვებთ მას!

თეა ახალკაცი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.